პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН КОМИТЕТА ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ ПРИ СОВЕТЕ МИНИСТРОВ ГССР И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

6 თებერვალი, ოთხშაბათი, 1985 წ.
№ 25 (7836) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან



გაცილება

სპორტის სასახლეში ნემსი არ ჩავარდებოდა. მთელი დარბაზი ფეხზე ამდგარი უკრავდა ტაშს თანამედროვეობის სახელგანთქმულ გოლიათებს, ხალიჩის სწორუპოვარ რაინდებს, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატს ნოდარ მოდებაძეს და სპორტის დამსახურებულ ოსტატს სოსლან ანდიევს, რომელთაც ბევრი სახელო ფურცელი ჩაწერეს თავისუფალი ჭიდაობის ისტორიაში. ყოველდღიურ ცხოვრებაში გულითადი და ერთგული მეგობრები, ხალიჩაზე ერთმანეთის მუდმივი მეტოქეები, იმ დღეს თავიანთ გულშემატკივრებს ეთხოვებოდნენ, შეკრებილნი კი მადლობას უძღვნიდნენ მათ იმ დიდი სიხარულისთვის, რაც ბევრჯერ მიუნიჭებიათ ყველა სპორტის მოყვარულისთვის. ზეიმის დასასრულს ჩვენ შევხვდით სახელოვან ფალავნებს და რამდენიმე შეკითხვით მივმართეთ.

● **რას გრძნობთ ამ წუთებში?**

ნოდარ მოდებაძე: პირველ ყოვლისა, უდიდესი მადლიერების გრძნობას ყველას მიმართ, ვინც მხარს მიჭერდა და მამხნევებდა მთელი ჩემი სპორტული ცხოვრების მანძილზე.

სოსლან ანდიევი: ოცი წელია სარბიელზე გამოვდივარ და ასეთი მღელვარება არც ერთხელ არ განმიცდია. დღეს შემიძლია ვთქვა, რომ მართლა ბედნიერი ვარ.

● **იქნებ გაიხსენოთ პირველი და თქვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი სპორტული გამარჯვება.**

ნოდარ მოდებაძე: ეს იყო ჩემი დებიუტი საკავშირო სარბიელზე. 1968 წელს როსტოვში „შრომითი რეზერვების" ცენტრალური საბჭოს ჩემპიონატში გამოვდიოდი. მახსოვს, მამამ გაცილებისას მითხრა, აბა შენ იცი, არ შემარცხვინოო. ცხადია, გულით მინდოდა გამარჯვება. ყველა შეხვედრა წმინდად მოვიგე და ჩემპიონის წოდებაც მოვიპოვე. სწორედ მაშინ იყო, რომ თვრამეტი წლის ბიჭი ქვეყნის ნაკრებში მიმიწვიეს.

სოსლან ანდიევი: არ დამავიწყდება 1973 წლის საკავშირო ჩემპიონატი, სადაც პირველად განვიცადე გამარჯვების სიხარული. ჩემი მეტოქეები უკვე გამოცდილი, ავტორიტეტიანი მოჭიდავეები იყვნენ. განსაკუთრებით გამიჭირდა ბრძოლა ნოდარ მოდებაძესთან. მას შემდეგ ჩვენ ბევრჯერ შევხვედრივართ ერთმანეთს პირველი ადგილისთვის ბრძოლაში.

● **სპორტსმენის გზა მარტო გამარჯვებათა გზა როდია. რომელი დამარცხება გაგონდებათ ყველაზე მწარედ?**

ნოდარ მოდებაძე: მე ყოველთვის წინასწარ ვგრძნობდი, რომელ ძდგილს დავიკავებდი შეჯიბრებაში. წარმოიდგინეთ, ძალიან იშვიათად ვცდებოდი. 1979 წელს, საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადისთვის მზადების პერიოდში, კარგ ფორმაში ვიყავი და იმედი მქონდა, რომ ოქროს მედალს მოვიპოვებდი. ჩემს უპირველეს მეტოქედ, რა თქმა უნდა, სოსლან ანდიევი მიმაჩნდა და ვიცოდი, რომ ისიც გამარჯვებაზე ოცნებობდა. ხალიჩაზე, როცა მეტოქის პირისპირ აღმოვჩნდი, თითქოს დამავიწყდა, ვისთან მქონდა საქმე, ოდნავ მოვადუნე ყურადღება და... წავაგე კიდეც.

სოსლან ანდიევი: ეს იყო მსოფლიო ჩემპიონატზე 1974 წელს. ფინალურ შეხვედრამდე რუმინელ მილონთან, რომელსაც მანამდე თავი არაფრით გამოუჩენია, ყველა მე მიწინასწარმეტყველებდა გამარჯვებას. წინასწარ მილოცავდნენ. მეც ავყევი ზედმეტ ემოციებს და დიდი, უპატიებელი შეცდომა დავუშვი — სათანადოდ ვერ შევაფასე ჩემი მოწინააღმდეგის ძალა. მილონმა ამით ისარგებლა. ამ ორთაბრძოლის წაგება ჩემთვის მთელი ცხოვრების გაკვეთილად იქცა.

● **თქვენს უკანასკნელ შეჯიბრებას ვერ გაიხსენებთ?**

ნოდარ მოდებაძე: 1982 წელს დაღესტანში შეიარაღებული ძალების საკავშირო პირველობა ჩატარდა. მე ვიცოდი, რომ ეს ჩემი ბოლო გამოსვლა იყო და გამარჯვებისთვის თავი არ დამიზოგავს.

სოსლან ანდიევი: შეიძლება ითქვას, რომ ჩემი ბოლო გამოსვლა არ შემდგარა. მე მინდოდა სპორტული კარიერა XXIII ოლიმპიადის შემდეგ დამემთავრებინა, მაგრამ...

● **თქვენი სპორტული ცხოვრება მაგალითია მომავალი თაობებისთვის, რას ურჩევდით მათ?**

ნოდარ მოდებაძე: თუ კაცი ბუნებით ნიჭიერია და კარგი მასწავლებელიც ჰყავს, მან დაუღალავად უნდა იშრომოს, რათა სისტემატურად იმაღლებდეს ოსტატობას.

სოსლან ანდიევი: სპორტსმენი პირველ ყოვლისა პიროვნება უნდა იყოს, მხოლოდ სპორტით არ უნდა შემოიფარგლოს. ამასთან, თანამედროვე სპორტსმენი უნდა იყოს ყოველმხრივ განვითარებული; ინტელექტუალური, ფეხს უწყობდეს დღევანდელ ცხოვრებას, სპორტულ სარბიელზე კი, გარდა არჩეული სახეობის ანბანისა, მან უნდა იცოდეს თავისი აღმზრდელის პატივისცემა, უნდა შეეძლოს მეტოქის ნამდვილი ძალის შეფასება, მარტო თავის ძალას არ დაენდოს. ერთი სიტყვით, მოჭიდავეს, კარგ ფიზიკურ და სპორტულ მომზადებასთან ერთად, ერთგვარი ეშმაკობაც უნდა ჰქონდეს.

● **რას აფასებთ ყველაზე მეტად ადამიანში?**

ნოდარ მოდებაძე — თავისი საქმის ერთგულებას, სიყვარულსა და გაგების უნარს.

სოსლან ანდიევი: კეთილშობილებას, გულუხვობას, სიკეთეს.

● **როგორ უყურებდა თქვენი ოჯახი თქვენს სპორტულ მოღვაწეობას?**

ნოდარ მოდებაძე: მამაჩემი, როგორც ყველა ქართველი, დიდი მოყვარულია ჭიდაობისა. ეტყობა, ეს სიყვარული მე სწორედ მისგან გადმომეცა. მე სამი ბიჭი მყავს. იმედი მაქვს, რომ თავის დროზე ისინიც ქართველ ფალავანთა რაზმს შეუერთდებიან.

სოსლან ანდიევი: ჭიდაობის სიყვარული ჩვენს ოჯახსაც ტრადიციად მოსდგამდა. მამაჩემი და ჩემი ორი უფროსი ძმა მოჭიდავეები იყვნენ. ძმები საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატები არიან. რაც შეეხება მეუღლეს, იგი ყოველთვის ჩემი ობიექტური და მკაცრი მსაჯული გახლდათ. წარმოიდგინეთ, ჩემი ორივე ქალიშვილიც ჭიდაობაზე ოცნებობს; ჯერ პატარები არიან, როგორც კი წამოიზრდებიან, ქალთა ძიუდოს სექციაში მივაბარებ.

● **როგორ გესახებათ თქვენი მომავალი ცხოვრება, რა გეგმები გაქვთ?**

ნოდარ მოდებაძე: მე საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი მაქვს დამთავრებული, პროფესიით ინჟინერ-ტექნოლოგი ვარ. სპორტული კარიერის დამთავრებისთანავე საგარეჯოში ცეკავშირის სისტემაში დავიწყე მუშაობა. გარდა ამისა, ჩვენთან რაიონში უზარმაზარი სპორტული კომპლექსი შენდება და ვფიქრობ, მომავალ სპორტსმენთა აღზრდაში მეც მივიღებ მონაწილეობას.

სოსლან ანდიევი: ახლა საკანდიდატო დისერტაციას ვწერ სოფლის მეურნეობის ეკონომიკის საკითხებზე. ამ სამუშაომ ძალიან გამიტაცა. მაგრამ, როცა ქვეყნის ნაკრებში მიმიწვიეს მწვრთნელად, ყოყმანი არ დამიწყია. ამ ორი, თითქმის სრულიად განსხვავებული საქმის შეთავსება ოდნავადაც არ მეძნელება.

● **აი, ახლა, ხალიჩაზე რომ გაეყვანეთ, როგორ დამთავრდებოდა თქვენი შეხვედრა?**

ნოდარ მოდებაძემ და სოსლან ანდიევმა ამ შეკითხვის პასუხად გაიცინეს და ერთმანეთს გადაეხვივნენ.

● **რას უსურვებდით ჩვენი გაზეთის მკითხველებს?**

ნოდარ მოდებაძე: ვუსურვებდი სიკეთეს, ბედნიერებას, სპორტისადმი ერთგულებას.

სოსლან ანდიევი: მე ბევრჯერ გამოვსულვარ თბილისის სპორტის სასახლეში და მუდამ მიგრძვნია აქაური მაყურებლის დიდი სითბო, მხარდაჭერა. დღეს მინდა ძმურად გადავეხვიო მთელ საქართველოს, ყველა გულშემატკივარს, ვუსურვო მათ დიდხანს სიცოცხლე, ჯანმრთელობა, ბედნიერება და დიდი გამარჯვებები.

საუბარი ჩაიწერა
ალა ჭენკოვა.

სოსლან ანდიევი და ნოდარ მოდებაძე... ამ ორი ფალავნის სახელთან საბჭოთა საჭიდაო სკოლის არაერთი თვალსაჩინო წარმატებაა დაკავშირებული. უკან დარჩა სპორტული ჭაბუკობის წლები, დადგა აქტიურ სპორტთან განშორების ჟამი... მეგობრებმა მხრებზე შეისვეს სახელოვანი ათლეტები და „საპატიო ტვირთი" საპატიო წრეზე შემოატარეს.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

დღეს თბილისსა და კიევში

დღეს თბილისსა და კიევში იწყება უმაღლესი ლიგის წყალბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის მეორე ნახევარი. პირველი წრის შემდეგ გათამაშებას ლიდერობს მოსკოვის „დინამო", რომელიც უახლოეს კონკურენტს, ალმა-ათის თანაკლუბელებს მთელი 6 ქულით უსწრებს.

მოსკოვის დინამოელებმა წარმატებით ჩაატარეს ჩემპიონატის პირველი ნახევარი — მოიგეს 10 შეხვედრა და მხოლოდ ერთი მატჩი („უნივერსიტეტთან") დაამთავრეს ფრედ. მათ ყველაზე ბევრი გოლი აქვთ გატანილი — 129.

მეორე ლიდერი — ალმა-ათის „დინამო" ვერცხლის მედლების რეალურ პრეტენდენტად ითვლება. ყაზახეთის წყალბურთელებს სტაბილურად არ ჩაუტარებიათ პირველი წრე (ორი შეხვედრა წააგეს და სამიც ფრედ დაამთავრეს) და ახლა ალბათ დაკარგულის ანაზღაურებას შეეცდებიან.

მესამე ადგილზე გასვლის პოტენციას სულ ცოტა ხუთი გუნდი აცხადებს, კერძოდ, მოსკოვის „უნივერსიტეტი" და „მოსკვიჩი", თბილისის „დინამო", ბაქოს კკფ და ჩვენი წყალბურთის ერთ-ერთი აღიარებული ლიდერი ცსკ ვმფ. მათ პირველი წრის შემდეგ 12-1 ქულა აქვთ. თუმცა მოსკოვის სამხედრო მეზღვაურების პერსპექტივა უკეთესია — მათ უნდა ჩაატარონ ერთი გამოტოვებული შეხვედრა აუტსაიდერთან — ტაშკენტის „მეხნატთან".

ყურადღებას იმსახურებს ლენინგრადის „ბალტიკისა" და ლვოვის დინამოელთა სატურნირო მდგომარეობა. ისინი 10-10 ქულით მიჰყვებიან ლიდერებს კვალში. ლენინგრადისა და ლვოვის წყალბურთელებმა განსაკუთრებით კარგად ჩაატარეს პირველი წრის დასკვნითი ტურის მატჩები.

ჩემპიონატის მეორე წრის სასტარტო შეხვედრებში ბევრი რამ გაირკვევა. ყოველ შემთხვევაში, ცნობილი გახდება ფინალისტების ექვსეული, რომელიც 41-ე ჩემპიონატის მედლებისათვის გააგრძელებს ბრძოლას.

ძიუდო

ხუთი პრიზიორი და გუნდური მეორე ადგილი

ხუთი საპრიზო ადგილი მოიპოვეს ახალგაზრდა ქართველმა ძიუდოისტებმა ვოლგოგრადში გამართულ საკავშირო პირველობაზე, რომელშიც 1968-69 წლებში დაბადებული სპორტსმენები მონაწილეობდნენ. თავიანთ წონით კატეგორიებში უძლიერესნი იყვნენ ამირან ტოტიკაშვილი (53 კგ, გარდაბანი), დავით დემეტრაშვილი (62, კასპი) და დავით ბაგაური (83, ახმეტა). მეორე ადგილზე გავიდა მძიმეწონოსანი ვალერი პარუნაშვილი (თბილისი), მესამე პრიზიორი გახდა ალექსანდრე დონღუზაშვილი (83, გორი).

გუნდურ ჩათვლაში ყველას აჯობა რსფსრ-ს ნაკრებმა, მეორე ადგილზე ჩვენი მოჭიდავეები არიან.

ბაზაც ვნახეთ, ბაზიერნიც...

სპორტული ობიექტების დაგეგმვისას იმთავითვე, ჯერ კიდევ ნახაზებსა და პროექტებში ითვალისწინებენ ყველაფერს (სათავსებს, კაბინეტ-ლაბორატორიებს, აღდგენისა და სამედიცინო მომსახურების, მასაჟისა და ტრენაჟის ოთახებს, ზოგან კი — საძინებელ ბლოკსაც), რაც თანამედროვე სპორტულ ბაზას მოეთხოვება და დიდი სპორტის ინტერესებს უპასუხებს. მაგრამ დამთავრდება თუ არა მშენებლობა, პროექტი ხორცს შეისხამს თუ არა, უმალვე იწყება იერიში მისი ყველა კუთხე-კუნჭულის ასათვისებლად. ვინ არიან ეს მოიერიშეები? ყველა, ვინც გნებავთ, გარდა იმ სახეობის ფარ-ხმალდაყრილი წარმომადგენლებისა, რომლისთვისაც სპორტული კომპლექსი აშენდა. ზოგჯერ ერთ კომპლექსში რამდენიმე ორგანიზაცია-დაწესებულებაც ჩასახლდება ხოლმე.

შეაჩერეთ მოძალადეები

ანუ იმის შესახებ, თუ როგორ იქცევა ხოლმე სპორტული კომპლექსები ადმინისტრაციულ შენობებად

თუ რაიმეთი ამაყობენ გორელები, ამაყობენ იმითაც, რომ მათ ქალაქში არცთუ დიდი ხნის წინათ სხვებისგან გამორჩეული, შეიძლება ითქვას, ჩანაფიქრით უნიკალური სპორტული კომპლექსი აშენდა. რით არის ეს კომპლექსი გამორჩეული და რატომაა მხოლოდ ჩანაფიქრით უნიკალური?

დავიწყოთ იმით, რომ კომპლექსი ინდივიდუალური პროექტით აშენდა. დამპროექტებლებს მხედველობიდან არც გორის ცენტრის განაშენიანების თავისებურება გამორჩენიათ. ერთი სიტყვით, კომპლექსი, როგორც არქიტექტორები იტყვიან, შესანიშნავად შეერწყა ქალაქის ცენტრის მთლიან ანსამბლს. მაგრამ მოხდა ისე, რომ ერთი ბრძნული ნათქვამისა არ იყოს, შენობა გარეთ მტერს უყენებს თვალს და შიგნით მოყვარეს.

ვთქვათ, გორს ეწვიეთ და ამ კომპლექსის დათვალიერება მოინდომეთ. ჭიდაობის, სპორტული თამაშებისა და ტანვარჯიშის დარბაზები მართლაც ჩინებული სანახავია, მაგრამ საქმე მარტო დარბაზები ხომ არ არის. აქ იძულებული ვხდებით მკითხველს სპორტული კომპლექსის დანიშნულება განვუმარტოთ, რადგან ის, რის შესახებაც ქვემოთ ვიტყვით, მართლაც თვითნებობისა და ძალმომრეობის უპრეცედენტო შემთხვევაა...

გამოთქმა „სპორტული კომპლექსი“ თანამედროვე სპორტის არნახული განვითარების ტემპს მოჰყვა. სიტყვა კომპლექსი ამ შემთხვევაში მხოლოდ სპორტული ობიექტების ერთიანობას, თუნდაც ერთ ჭერქვეშ სპორტის რამდენიმე სახეობის სექციათა მუშაობას როდი გულისხმობს, აზრითა და შინაარსით იგი უახლოვდება ცნებას „სპორტული ცენტრი“, სადაც ყველა პირობაა შექმნილი სპორტსმენთა აღზრდა-დაოსტატებისათვის. გორის განათლების განყოფილების ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლის კომპლექსის პროექტი რომ დგებოდა, ავტორებმა სპორტის განვითარების ხვალინდელი დღეც გაითვალისწინეს. მოკლედ ვიტყვით: ამ კომპლექსს 26 ოთახი და სათავსი აქვს. თვით სპორტსკოლის ადმინისტრაციას აქ იმდენი ოთახი უნდა დაეკავებინა, რამდენიც დასჭირდებოდა და რისთვისაც დასჭირდებოდა (დებულებით). აქვე იყო გათვალისწინებული სასწავლო პროცესისათვის აუცილებელი სათავსები, რასაც თანამედროვე სპორტი მოითხოვს, ამავე შენობაში უნდა ყოფილიყო საძინებელი ბლოკი. „იყო გათვალისწინებული“, „უნდა ყოფილიყო“... არ გაინტერესებთ, რა ხდება? აქაოდა ნაგებობა ჩვენია და როგორც გვინდა, ისე მოვიხმართო, ქალაქის განათლების განყოფილება ადგა და ოთხი სართულიდან მთელი ორი სართული — 14 ოთახი და სათავსი დაიკავა. დანარჩენ ოთახებში გამოუყვეს ბინა ქალაქის სპორტკომიტეტს, სპორტულ საზოგადოებებს „განთიადსა“ და „სპარტაკს“, საფეხბურთო სკოლას, სკოლამდელი აღზრდის მეთოდურ კაბინეტს. რაც დარჩა (ოცდახუთიდან სულ რაღაც ოთხი ოთახი), იმ სპორტულ სკოლას „მიუგდეს“, ვისთვისაც აიგო ეს შენობა და ჩანაფიქრით რესპუბლიკაში უნიკალური, საჩვენებელი სპორტული ბაზა უნდა ყოფილიყო.

სამწუხაროდ, გორი გამონაკლისი არ გახლავთ. თუნდაც თბილისში იმდენი სპორტული კომპლექსი ვაქციეთ ადმინისტრაციულ ნაგებობად, ზოგიერთ მათგანში კი იმდენი ორგანიზაცია-დაწესებულება შესახლეს (მათზე სხვა დროს მოგითხრობთ), კაცი ძალაუნებურად ფიქრობ, რომ რესპუბლიკის სხვა ქალაქებსა და რაიონებს შეიძლება სწორედ დედაქალაქმა მისცა მაგალითი.

რა ხდება? ნაცვლად იმისა, რომ სპორტის ცალკეულ სახეობებში ჩამორჩენის დაძლევისთვის ვზრუნავდეთ, კომპლექსის შესაძლებლობებს მაქსიმალურად და საქმის სასიკეთოდ ვიყენებდეთ, საკუთარ კეთილდღეობაზე, „ხელმძღვანელობის სპორტულ-კაბინეტურ სისტემაზე“ გადასვლაზე და საკუთარი შრომის პირობების გაუმჯობესებაზე ვფიქრობთ? ვიცი, ეს სტრიქონები შეიძლება ბევრს არ ეჭაშნიკოს, მათ შორის იმათაც, ვისთანაც მოკრძალებული პატივისცემა და მეგობრობა გვაკავშირებს, მაგრამ, როცა საქმე ქართული სპორტის ინტერესებს ეხება, როცა სპორტული კომპლექსების ლამაზი ფასადების მიღმა „დამახინჯებული ინტერიერებია“, პირადი ამბიციები ყველამ გვერდზე უნდა გადავდოთ. დაგვერწმუნეთ, ამ სტრიქონებს გულისტკივილით ვწერთ. დაე, ქართული სპორტის ინტერესები იყოს ობიექტური გამკითხავი.

ისევ გორს დავუბრუნდეთ. ჩვენს მიერ ზემოთ მოხსენიებული კომპლექსი მარტო ქალაქისა კი არა, თვით გორისა და სხვა რაიონების სოფლების ახალგაზრდების სპორტული დაოსტატების კერად იქცა. იმ დღესაც გაჭედილი იყო დარბაზები. სხვაგან თუ ჯგუფში იშვიათად შეხვდებით მოვარჯიშეთა სრულ შემადგენლობას, აქ გათვალისწინებულზე ორჯერ და სამჯერ მეტი მოზარდი დადის მეცადინეობაზე ერთ სექციაში. ყველაზე მეტად მაინც ძიუდოს და თავისუფალ ჭიდაობას ეტანებიან. შალვა მელაძისა (ძიუდო) და ავთანდილ სირანიშვილის (თავისუფალი ჭიდაობა) ჯგუფებში უკვე რესპუბლიკის ჩემპიონები და საქართველოს ნაკრები გუნდის წევრებიც არიან. რესპუბლიკურ ასპარეზობებში გამოიჩინეს თავი კალათბურთელებმა (მწვრთნელი ვერა შავიშვილი) და ფრენბურთელებმა (ლენა სუხალკოვა). ახლა კრივი! აქაურმა მოზარდებმა სამართლიანად მიიქციეს სპეციალისტების ყურადღება და ფიქრობენ, რომ გორი ახლო მომავალში კრივის კერადაც იქცევა, მაგრამ კაცმა რომ თქვას, მოკრივეები ყველაზე ცუდ დღეში არიან. მათთვის პირველ სართულზე ორი ოთახი გაუერთიანებიათ და რინგი ფიცარნაგზე კი არა, პირდაპირ იატაკზეა მოწყობილი. ბავშვებს არც გასახდელები ჰყოფნით, არც გათბობაა ხეირიანი, ცხელი წყალი კი ბოლოს როდის მოდიოდა აღარც ახსოვთ. უწყლობის გამო მთელ შენობაშიც ანტისანიტარია სუფევს. „მდგმურებს“ ამ პრობლემების გადაჭრაზე რომ მაინც ეზრუნათ, კიდევ ვინ ჩივის, მაგრამ რა სამწუხაროა, რომ იქაურობას მსგავსი არაფერი ეტყობა.

თენგიზ გაჩეჩილაძე,
ჩვენი სპეციალური კორესპონდენტი.
გორი.

ვუბრუნდებით დაბეჭდილს

„აუზის კარი ყველასათვის ღია უნდა იყოს“

1981 წლის 13 დეკემბერს „ლელოს“ ფურცლებზე ამ სათაურით გამოქვეყნებულ წერილში ლაპარაკი იყო იმაზე, რომ პირველი მაისის რაიონის განათლების განყოფილების დილომში მდებარე სასკოლათაშორისო საცურაო აუზი ხელმისაწვდომი არ არის მოსახლეობის ფართო ფენებისათვის. აუზი დღეში 8-10 საათს დაუტვირთავია. ამ დროის გამოყენება შეიძლება საბონემენტო ჯგუფების სამეცადინეოდ. მაშინ განგვიმარტეს, რომ ეს ბაზა საბიუჯეტო ობიექტია და ადმინისტრაციას უფლება არა აქვს გაავრცელოს ფასიანი აბონემენტები.

გაზეთში წერილის გამოქვეყნების შემდეგ ამ საკითხთან დაკავშირებით მივიღეთ კონკრეტული პასუხი, რომელსაც ხელს აწერს თბილისის სახალხო დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის საფინანსო განყოფილების გამგე **სულიკო სვანიძე**. იგი გვწერს: „საბიუჯეტო კანონმდებლობის თანახმად, საბიუჯეტო დაწესებულებას შეიძლება ჰქონდეს საკუთარი შემოსავალი, რომლის აღსარიცხავადაც სახბანკის დაწესებულებაში უნდა გაიხსნას ბიუჯეტისგარეშე (სპეცსახსრების) ანგარიში. სპეციალური სახსრები იხარჯება დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვის მიხედვით, რომლის დროსაც საბიუჯეტო დაწესებულებებმა უნდა იხელმძღვანელონ სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს 1981 წლის 12 ივნისის № 120 ინსტრუქციით. საკითხის დადებითად გადასაწყვეტად საჭიროა რაიაღმასკომისა და თბილისის განათლების სამმართველოს ურთიერთშეთანხმებული დასკვნა“.

რედაქცია მადლობას უხდის პატივცემულ სულიკო სვანიძეს დაწვრილებითი განმარტებისთვის და იმედოვნებს, რომ დილომის სასკოლათაშორისო საცურაო აუზზე შემოიღებენ საბონემენტო სისტემას და ამიერიდან ცურვით გაჯანსაღების მსურველებს ფართოდ გაუხსნიან კარს. ვიმედოვნებთ იმასაც, რომ კანონით მინიჭებული უფლებით სხვა საბიუჯეტო სპორტული ბაზების ადმინისტრაციაც იხელმძღვანელებს.

13-14 აპრილი—ხსოვნის დღე

ხევძმარიდან გზა ქვაყრილზე გადის და ოციოდე წუთში გლდანში ვართ. ისტორიული სოფელია, „ქართლის ცხოვრებაში“ მოხსენიებული. მის ადგილმდებარეობასა და სანახებს მადლიანი კალმით აღწერს ვახუშტი ბაგრატიონი. გლდანის ხეობის ორივე მხარე მდიდარია უძველესი და თანამედროვე ღირსშესანიშნაობებით. თიანეთის გზატკეცილის შესახვევთან ბექობზე დგას შუა საუკუნეების არქიტექტურული ძეგლი — წმინდა გრიგოლის ეკლესია. აქედან იწყება სამანქანო მაგისტრალი, რომელსაც ტყით დაბურული ვეჯინის უძველეს ნაგებობასთან მივყავართ. ეროვნული პარკის ეს კარიბჭე და ტურისტული ბილიკები აქედან მამკოდას, ნორიოს, ცხვარიჭამიას, ლულელებს მოგატარებთ. გლდანისა და თბილისის სილუეტის სინატიფეს რომ ეზიაროთ, ისინი უნდა იხილოთ ჯოხტნისა და ხოდაბუნების მთის კლდოვანი გადასახედებიდან. აქაური ტყე-ღრეების, ხრამების, ველ-გორაკების, ბილიკების მოვლისას იმაშიც დარწმუნდებით, რომ გლდანში მცხოვრებს მგლის მუხლი, ქარის სიმარდე და ღვარცოფის ღონე სჭირდებოდა. ასეთადაც შეიძლება ვიგულოთ ისინი. მათი თვისების თავისებურება იმაშია, რომ ექვს დღეს ნაშრომ-ნამაგარი გლდანელი არც მეშვიდე დღეს იწვა მხარ-თეძოზე, მახლობელი სოფლებიდან თუ შორეული რეგიონებიდან ჩამოსული სტუმრების ჭიდილში სცდიდა ღონეს, უნარსა და ხერხს. შერკინების მსურველთა ნაკადი კი არ წყდებოდა, რადგან ყველას იმათთან შებმა აინტერესებდა, ვინც ფალავნების სოფლის, ჭიდაობის, ამ მექის სახელს იცავდა. ასეთია ჭეშმარიტი ხალხური სპორტის მიმზიდველობა და ბუნება. ამიტომაც სწორედ აქ წარმოჩნდა ქართული ჭიდაობის რაინდთა მქუხარე სახელები. მათ უკვდავყოფენ სიტყვაკაზმული ზეპირსიტყვაობა, ფოლკლორული ნიმუშები და სპორტული ლიტერატურა. თავგამოჩენილთა დიდი კრებულის სია იწყება კულა გლდანელით (ყირიმელაშვილი). მას და მისებრ ვაჟკაცებს იმ მამულიშვილთა შორის ვიხსენიებთ, რომელთა მოგონება, დიდი ილიას სიტყვებით რომ ვთქვათ, შთამომავლობის სესხი და ვალია. კულას გამარჯვებათა ამბავი თაობიდან თაობას გადაეცემოდა. დიდმა მგოსანმა აკაკი წერეთელმა 1888 წელს დაწერა მესტვირული „ჭიდაობა“, რომლის ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟი კულა გლდანელია. ძარღვიანი ლექსის „კულა გლდანელის“ ავტორის — იეთიმ გურჯის ენით მეღოლე მას ფალავან-გმირად წარუდგენდა ხოლმე მსმენელსა და მაყურებელს. ხევსურული ლექსიც თავისას მიუზღავს და ქართველი კაცის ფიზიკური ძლიერების სინონიმად გვაცნობს ყირიმელაშვილს:

უნდ დაიკვეხნას, კულაო,
ბიჭამა შენისთანამა,
გამახვე საჭიდაოდა,
ძალმა მიშველა ხთისამა,
დაიწყვე ჭიდაობაი,
კეცა დაიწყა მიწამა.
თორმეტი მხვილი გაღლახე,
წვრილმა იდინა ვითამა!

1925 წელს მადლიერმა თბილისელებმა ესიკოვსკის ცირკში, სადაც ბევრი გლდანელი დებიუტანტი გამოსულა მოჭიდავეთა საერთაშორისო სარბიელზე გასაჭრელად, კულა გლდანელს გრანდიოზული იუბილე გაუმართეს.

ყოველ გლდანელ მოჭიდავეს თავისი სტილი ჰქონდა. დახვეწილი ილეთებით, შუაკაურისა და მოგვერდის ეფექტიანი გამოყენებით განსაკუთრებით გამოირჩეოდა გიორგი ოდიშვილი, რომელმაც ხალასი გამარჯვებებით თბილისელთა დიდი სიყვარული დაიმსახურა.

გამოვიდა ქორელიო...

ათოლა აბუაშვილის, მიტა გლდანელისა და სხვა ცნობილ მოჭიდავეთა გვერდით ისეთებსაც შეხვდებოდით, რომელთა ცხოვრებისეული ეპიზოდები მხოლოდ მოჭიდავეთა საბუდრად წოდებულ სოფელ გლდანს უკავშირდება. საჭიდაო წრის ჯადოქარს უწოდებდნენ ტანდაბალ ზაქარია ელგენდარაშვილს, რომელიც ახალგალეწილი ხორბლით სავსე ტომარას ხელებით დასწვდებოდა, წამოიკიდებდა და საძნე ურემზე ისე დაუდებდა, თითქოს ბუმბული ყოფილიყო. მეტსახელად მას „ქორელას“ ეძახდნენ და ჭიდაობაში გამოჩენილი სიმამაცისათვის ხალხმა ეს სიტყვა სხარტულ გამოთქმაშიც ჩააქსოვა:

გამოვიდა ქორელიო,
დასცა ახალგორელიო...

ნიშანდობლივია, რომ გლდანში რამდენიმე ქუჩა მოჭიდავის სახელს ატარებს... ვანო მიდელაურის ქუჩაზე ვარ. პაპის ტრადიციების გამგრძელებელი იური მიდელაური სახელოვანი წინაპრის სურათებს მაჩვენებს... ვანო მიდელაური საშუალო ტანის კაცი იყო, შეუპოვარი, მამაცი ადამიანი. თბილისის ცირკში საკუთარი ძალ-ღონის გამოჩენის წყურვილმა მიიყვანა. ტყეში ნალს რომ შეკრავდა, ჯერ თვითონ დასძრავდა, თუ მოერევა ხარ-კამეჩიო. დაცურებისას რომ არ გადაჩეხილიყვნენ, ზამთარში გაყინულ თავქვეზე ურმიდან ხარები გამოუშვია თურმე, ქალამნებზე ტოლაღები დაუხვევია, უღელი მხრებზე დაუდვია და მძიმე ტვირთი ნება-ნება ჩამოუტანია...

მალე იგი ცნობილი ფალავანი გახდა. ხშირად ჭიდაობდა საქართველოს რაიონებში, ბაქოში, შუა აზიაში, არასოდეს დამარცხებულა. თეირანშიც არაერთგზის უსახელებია თავი და სწორედ ეს გახდა მიზეზი, რომ ირანიდან აღარ დაბრუნებულა. როგორც მოგვიანებით გამოირკვა, ვანო მიდელაურს „შაჰის ფალავნის“ სახელით ცნობილი მოჭიდავე დაუმარცხებია, მას კი თანამზრახველთა დახმარებით ვერაგულად მოუკლავს ქართველი ათლეტი...



ვანო (ივანე) მიდელაური.

სოფელმა ორი ისეთი მოჭიდავე აღზარდა, რომლებმაც ღირსეულად ატარეს ვანო გლდანელის სახელი. ივანე წამალაშვილი არა მარტო თითონ იძლეოდა ვაჟკაცური ჭიდაობის მაგალითს, არამედ მოჭიდავეთა ახალ თაობასაც ზრდიდა და აწრთობდა. მან შეადგინა ქართული ჭიდაობის წესები და პირველი სახელმძღვანელო, რომელმაც თვალსაჩინო წვლილი შეიტანა მოჭიდავეთა ახალი კადრების მომზადებაში.

მისმა მოსახელემ ივანე კოტორაშვილმა თავისი ძალა მრავალგზის გამოსცადა თბილისშიც და იმ ძველ საჭიდაო წრეშიც, რომელიც ხევგაღმა ბექობზე მდებარეობს. ძველთაგანვე აქ იმართებოდა „საჭიდაო კვირაობები“. აქ მიღებულმა წრთობამ ასობით გლდანელს გულადობა და სიმამაცე გამოაჩენინა დიდი სამამულო ომის ფრონტებზე. ყოფილ საჭიდაო მოედანზე ამჟამად აღმართულია საბრძოლო დიდების ძეგლი, რომელიც მოწიწებით ინახავს დაღუპულ გმირთა სამარადისო ხსოვნას. ოქროს ასოებით ამოტვიფრულ 126 გვარში შეხვდებით აბუაშვილებსა და გიორგობიანებს, ოდიშვილებსა და ყირიმელებს, კოტორაშვილებსა და გოგიძეებს, მეკოკიშვილებსა და სულხანიშვილებს, ფიცხელაურებსა და მიდელაურებს...

ივანე ჯავახიშვილი,
საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკი.
მცხეთის რაიონი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„საჭიროა კარდინალურად გარდავქმნათ ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლებისა და ინტერნატების საქმიანობა, ავამაღლოთ მათი პრაქტიკული უკუგება. გავაფართოოთ სპორტსახეობების მიხედვით სპეციალიზებული ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ქსელი. შევქმნათ ბავშვთა სპორტულ-გამაჯანსაღებელი ბანაკები".

1984 წლის 21 იანვარს გამართული რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრების მასალებიდან.

მედლეხვალიე კაცსაო...

- პირველი ნაბიჯები საიმედო ჩანდა, მაგრამ...
- სწავლის პირობები გაუმჯობესდა, წვრთნისა — გაუარესდა.
- გადაბრალება-გადმობრალების დრო გვაქვს?
- მედლის ორი მხარე

„**ყოველი** საჭიროება ცხოვრებიდან წარმოდგება. თუ ცხოვრებას არ უნდა, ვერაფერს ვერ მიამყნობ ისე, რომ იმ ნამყნობმა იხეიროს და ნაყოფი მოიტანოს". განახლების, კვლევა-ძიების პროცესი სპორტული მოძრაობის განუყრელი თანამგზავრია. გუშინდელი დღეს უკვე საკმარისი აღარ არის. გაუსწარ დროს, ნუ გამოიკეტები დადგენილ-დაკანონებულის ჩარჩოებში — თანამედროვე სპორტში გამარჯვებას ის აღწევს, ვინც ამ პრინციპით ხელმძღვანელობს. წინ მაცქერალი კაცის მახვილი თვალი, შემოქმედებითი დამოკიდებულება წვრთნა-ვარჯიშის მეთოდიკასაც სჭირდება და სპორტული ცხოვრების, ასე ვთქვათ, ორგანიზაციული საკითხების მოგვარებასაც. მეთოდიკისა რა მოგახსენოთ; მაგრამ ორგანიზაციული ხასიათისა არა ერთი სიახლე დაინერგა თავის დროზე ჩვენს რესპუბლიკაში.

1934 წელს თბილისში შეიქმნა საბჭოთა კავშირში პირველი სპორტული სკოლა. ეს „ცხოვრებიდან წარმომდგარი" საჭიროება იყო: სპორტული სკოლები, რომ იტყვიან, სოკოებივით მომრავლდა ქვეყნის ყველა კუთხე-კუნჭულში.

1958 წელს თბილისში გაიხსნა საბჭოთა კავშირში პირველი სპორტული პროფილის სკოლა-ინტერნატი. ეს სიახლეც „ცხოვრებიდან წარმომდგარი" საჭიროება გამოდგა: დღეს საბჭოთა კავშირში ოცდაჩვიდმეტი სპორტული პროფილის სკოლა-ინტერნატია. მომავალ ჩემპიონთა აღზრდის ეს ფორმა ფართოდ დაინერგა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, ბულგარეთში, სხვა ქვეყნებში.

სპორტული პროფილის სკოლა-ინტერნატი... ამ თაოსნობაში არსებითად ახალი შინაარსი იყო ჩადებული.

რაკილა იდეა უკვე არსებობდა, ყველგან თავ-თავიანთი გზა და საშუალებები გამონახეს ამ საქმის თავმოსაბმელად, ჩვენი სკოლის მოწყობა-მოღონიერების საქმე, ცხადია, ჩვენვე დაგვრჩა საზრუნავად და გასაკეთებლად. ადვილი არ ყოფილა — სიახლე ძნელად მიიკვლევს გზას, ვიდრე დროის გამოცდას გაუძლებდეს და ფეხს მოიკიდებდეს. ჩვენმა ახალი ტიპის ინტერნატმა ამ გამოცდას გაუძლო. მაგრამ ვაი ამ გაძლებას.

ვიცი, წაიკითხავს ამ სტრიქონს მკითხველი და უნებლიეთ გაიკვირვებს — რა მოხდა ამისთანაო. მე მზადა ვარ კითხვაზე პასუხის გასაცემად.

უწინარესად, ერთხელ კიდევ დავაზუსტოთ: სპორტული პროფილის სკოლა-ინტერნატს, ყველა სხვა ტიპის სპორტული სკოლებისგან განსხვავებით, რამდენიმე არსებითი და უდავოდ ანგარიშგასაწევი უპირატესობა აქვს. ინტერნატის სტრუქტურული თავისებურება უკვე გულისხმობს რესპუბლიკის სპორტული ნიჭით გამორჩეული ახალგაზრდობის ერთად თავმოყრას, მათი სწავლა-აღზრდისა და, რაც მთავარია, სპორტული დაოსტატების (დიახ, რაც მთავარია! სწავლა-აღზრდა, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ფუნქცია — თავისთავად, მაგრამ ინტერნატის უმთავრესი დანიშნულება სპორტის რეზერვზე ზრუნვაა) უაღრესად ხელსაყრელ პირობებს. ამ აზრს საქმეში ჩახედულ ხალხისთვის განმარტება არ სჭირდება. არც ახალი ტიპის სასწავლო-სპორტული დაწესებულების შექმნის იდეა, არც თავად სკოლა, ჩვენში ყამირზე არ აღმოცენებულა, პირველი ნაბიჯები თითქოს საიმედო ჩანდა, მაგრამ მიუხედავად მრავალთა და მრავალთა მცდელობისა, მიუხედავად ხელმძღვანელი ორგანოების დიდი დაინტერესებისა, ჩვენი სპორტული პროფილის სკოლა-ინტერნატი ვერა და ვერ გაიმართა წელში.

ისე ნუ გაიგებ, მკითხველო, თითქოს ამდენი ხნის მანძილზე სკოლა-ინტერნატი გვერდს უვლიდა თავის მოწოდებასა და დანიშნულებას. სკოლამ არაერთი კარგი სპორტსმენი, კარგი მოქალაქე აღზარდა (მათ უფრო ქვემოთ წარმოგიდგენთ), მოიძებნა კონტინგენტის სწორად შერჩევის, სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის უკეთ წარმართვის საინტერესო ფორმები (განსაკუთრებით, ამ ბოლო წლებში), ბევრი რამ აშენდა და გაკეთდა, სკოლის ხელმძღვანელობას, გლობალური ამოცანებიდან გამომდინარე, მეტად ყურადსაღები გეგმებიც აქვს (აქვე ვიტყვი: ამ გეგმების განხორციელება მარტო სკოლა-ინტერნატის ძალებით არ მოხერხდება), მაგრამ ინტერნატის მეოთხედსაუკუნოვანი გზა მაინც გვიტოვებს უკმარობის გრძნობას. მაქსიმალისტი კაცის პოზიციაა? (ისე, რატომ არ უნდა ვიყოთ მაქსიმალისტები?) — არა. ლაპარაკია არა იმაზე, რომ ვერ შევძელით სანიმუშო სპორტული სკოლა-ინტერნატი შეგვექმნა (სურვილი კი უნდა გვქონდეს ამისა); ჩვენ იმას ვამბობთ, რომ სკოლა რაღაცნაირად არითმიულად მუშაობს და მხოლოდ დროდადრო თუ იძლევა ჩვენი სპორტისთვის ასე საჭირო „პროდუქციას".

ამას, რასაკვირველია, ჰქონდა და აქვს ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზები.

მოვლენებში გასარკვევად მცირე ისტორიული ექსკურსი დაგვჭირდება. ზემოთ ითქვა, რომ სპორტული პროფილის სკოლა-ინტერნატი თბილისში 1958 წელს გაიხსნა. სკოლას გამოუყვეს ფიზკულტურის ტექნიკუმის შენობა, ლენინის სახელობის სტადიონი და სპორტული დარბაზი. მალე სასწავლებელმა „მოგზაურობა" დაიწყო: ჯერ სოფელ გლდანის რვაწლიანი ტიპიური სკოლა-ინტერნატის ბაზაზე მოთავსდა და კარგა ხანს იქ იყო. 1967 წელს სპორტული ტიპის მეორე სკოლა-ინტერნატიც გაიხსნა — ისიც გლდანის სხვა რვაწლიანი ინტერნატის ბაზაზე, ბოლოს კი (1977 წელს) საქართველოს განათლების სამინისტროს გადაწყვეტილებით ეს სკოლები გაერთიანდა და საბოლოოდ ჩამოყალიბდა სპორტული პროფილის რესპუბლიკური სკოლა-ინტერნატი (მის ადგილსამყოფლად № 2 სკოლა-ინტერნატი აირჩიეს). მოკლედ, ოპტიმალური ვარიანტის ძიების პროცესი კარგა ხანს გაგრძელდა, ამას დაემატა სპორტდარბაზების უსაშველოდ გაჭიანურებული მშენებლობა..

„ფათერაკები" ამით არ დამთავრებულა. გამოირკვა, რომ სკოლა-ინტერნატის საძინებელი კორპუსი ავარიულ მდგომარეობაში იყო. საქმეში ჩაერივნენ რესპუბლიკის ხელმძღვანელი ორგანოები, მიიღეს დადგენილება სპორტული პროფილის სკოლა-ინტერნატის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მდგომარეობისა და სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შესახებ. გაჩაღდა მშენებლობა, მწყობრში ჩადგა ახალი სასწავლო-ადმინისტრაციული ბლოკი, ორი არსებული კორპუსი (საცხოვრებელი და სასკოლო) ერთ საცხოვრებელ კორპუსად გადაკეთდა (უნდა ითქვას, რომ სამუშაოები შესრულდა ძალზე სწრაფად, მაგრამ... ძალზე უხარისხოდ). მშენებლობის პერიოდში სკოლა, რა თქმა უნდა, მძიმე პირობებში იყო. შეფერხდა სასწავლო და საწვრთნელი პროცესი, დაიქსაქსა კლასები და სპორტული ჯგუფები. ბოლოს სასწავლებელი კვლავ დაუბრუნდა მშობლიურ კერას, თითქოს ყველაფერი თავის კალაპოტში ჩადგა, მაგრამ... ინტერნატის ორი საფეხბურთო მინდორი, მძლეოსნური მანეჟი და ძიუდოს დარბაზი ბალანსიდან ბალანსზე სხვა ორგანიზაციას გადაეცა, სანაცვლოდ კი სკოლას არაფერი მიუღია. სწავლის პირობები გაუმჯობესდა, წვრთნისა — გაუარესდა. არადა, ახალი სასწავლო წლიდან საბჭოთა კავშირის განათლების სამინისტროს გადაწყვეტილებით ინტერნატის კონტინგენტი 301-დან 401-მდე გაიზარდა (ეს თავისთავად მნიშვნელოვანი და სასიხარულო ფაქტია), დღის წესრიგში დადგა ახალი ტალანტების შემოკრების, სპორტული მუშაობის გაფართოების საკითხი, ამ დროს კი სკოლა ბაზის გარეშე დარჩა (?!)

ჩვენი მწვრთნელები ხშირად ტყუიან, როცა ჩამორჩენას სპორტული ბაზების სიმცირეს მიაწერენ; სკოლა-ინტერნატის მწვრთნელები ხშირად არ ტყუიან, როცა წვრთნის მძიმე პირობებზე ჩამოაგდებენ სიტყვას. ფეხბურთელებს ფეხბურთის მინდორი არა აქვთ, მძლეოსნებს — მძლეოსნური მანეჟი და სექტორი. ხან სად ვარჯიშობენ, ხან — სად.

კლასიკური და თავისუფალი ჭიდაობა, ძიუდო, ფეხბურთი, მძლეოსნობა, ფარიკაობა, აკადემიური და საბაიდარო ნიჩბოსნობა — აი, ამ სახეობებს მეურვეობს ინტერნატი. ერთი დიდი დარბაზი ჭიდაობის სამივე სახეობისათვის, ფარიკაობის დარბაზი, ოცდახუთმეტრიანი დახურული საცურაო აუზი — აი, ეს არის ინტერნატის ავლა-დიდება. მძლეოსანთა და ფეხბურთელთა გასაჭირზე ითქვა. საკუთარი ბაზა არც ნიჩბოსნებს აქვთ.

სკოლა რთული მექანიზმია, სკოლა-ინტერნატი, ისიც სპორტული პროფილისა — მით უმეტეს. ამ ტიპის სასწავლებლის სპეციფიკა საგანგებო პირობებს მოითხოვს. ინტერნატისათვის სპორტული ბაზა თუ სხვა მატერიალური ატრიბუტები, რომ იტყვიან, სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხია. აქ სპორტული მუშაობა ორჯერად წვრთნაზეა აგებული და, ბუნებრივია, სასწავლებლის დღის რეჟიმი ამ პრინციპს უნდა ემორჩილებოდეს. ჩვენი ინტერნატის პირობებში სასწავლო, საწვრთნელი და აღმზრდელობითი მუშაობის ურთიერთშეხამება, რა თქმა უნდა, გაძნელებულია. არადა, ინტერნატის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მშენებლობისა და კეთილმოწყობის გენერალური გეგმა, რომელიც ამ ოთხი წლის წინ შემუშავდა, მართლაც შთამბეჭდავ პერსპექტივას ქმნიდა. ბევრი რამ გაკეთდა, მაგრამ გაკეთდა უხარისხოდ, პროექტის ერთი ნაწილი კი ქაღალდზე დარჩა. განუხორციელებელი დარჩა სკოლის ახალი ხელმძღვანელობის არაერთი საინტერესო ჩანაფიქრიც.

სამწუხაროდ, ჩვენს სპორტში ბევრი საშური და გადაუდებელი საქმე დიდი დაგვიანებით კეთდება ხოლმე. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს სპორტული პროფილის სკოლა-ინტერნატს „გარედან" მოკირკიტე და ჭკუის დამრიგებელი გაცილებით მეტი ჰყავს, ვიდრე ნამდვილი გულშემატკივარი და მხარში ამომდგომი. კაცს ვერ ნახავთ, ინტერნატის საჭიროებას რომ არ აღიარებდეს, მაგრამ ზოგიერთი ეჭვით უყურებს ამ სკოლის დღევანდელ საქმიანობას, თითქოს კეთილმოსურნე კაცის პოზიცია უჭირავს, სინამდვილეში კი არაჯანსაღ და არასასურველ ატმოსფეროს ქმნის. ბევრმა ჩურჩულ-კურკურმა ქვეყანა ამოაგდოო. სკოლას ახლა ხელის გამართვა სჭირდება და არა უსაფუძვლო მითქმა-მოთქმა. არა, სკოლის ხელმძღვანელობის გასაკეთებელ საქმეს, რა თქმა უნდა, სხვა არ გააკეთებს, მაგრამ არის საკითხები, უფრო მაღალ საფეხურზე რომ უნდა გადაწყდეს და მოგვარდეს. მთავარი ისევ და ისევ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის პრობლემაა. სკოლას აუცილებლად სჭირდება მძლეოსნური მანეჟი და სექტორი, ფეხბურთის მინდორი (ინტერნატის ტერიტორია იძლევა მათი მოწყობის საშუალებას), საკუთარი სანიჩბოსნო ბაზა (თბილისის ზღვა სკოლიდან ათი წუთის სავალზეა), სათანადოდ აღჭურვილი აღდგენითი ცენტრი და სამედიცინო სამსახური, სააქტო დარბაზი (სადაც ოფიციალური ღონისძიებებიც მოეწყობა და კინოფილმებსაც უჩვენებენ, შეიქმნება გართობა-დასვენების პირობები), თანამედროვე სპორტული აღჭურვილობა, სატრანსპორტო საშუალება, საზაფხულო სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსური ბანაკი...

არის სხვა ხასიათის წინააღმდეგობებიც: თერთმეტწლიან სწავლებაზე გადასვლასთან დაკავშირებით გადასასინჯია ინტერნატის მოსწავლეთა სასწავლო პროგრამები, საბოლოოდ დაზუსტებული არ არის სპორტის სახეობების მიხედვით ინტერნატში ჩასარიცხავ მოსწავლეთა ასაკი, ხშირად ჭიანურდება შერჩეული კონტინგენტის ინტერნატში გადმოყვანა, საბოლოოდ უნდა გადაილახოს უწყებრივი ბარიერები... სკოლა-ინტერნატს შეუძლია ჩვენს სპორტს დიდი სამსახური გაუწიოს, ოღონდ მისი სატკივარი მთელი ჩვენი სპორტული საზოგადოებრიობის სატკივარი და საზრუნავი უნდა გახდეს, თორემ თუ საერთო ძარღვი გაწყდა, ძალა და სურვილი დაგვინამცეცდება და საქმისთვის თავის მობმაც გაგვიჭირდება.

ვიმეორებთ, სპორტული პროფილის სკოლა-ინტერნატს მართლაც უაღრესად მნიშვნელოვანი ფუნქცია აკისრია: რესპუბლიკის ყველაზე ნიჭიერი ნორჩი სპორტსმენების შემოკრება, ქართული სპორტის საიმედო რეზერვის მომზადება. ამიტომ ჩვენთვის სულ ერთი არ უნდა იყოს, როგორია ინტერნატის დღევანდელი დღე, როგორი იქნება იგი მომავალში. მე შეგნებულად ვუვლი გვერდს სკოლის საქმიანობაში არსებულ იმ ხარვეზებს, თვით ამ კოლექტივის სუსტ მუშაობაზე რომ მეტყველებენ. ახლა გადაბრალება-გადმობრალების დრო არ არის. სკოლის ავ-კარგი სათანადოდ შეაფასეს კომპეტენტურმა ორგანოებმა და, ეტყობა, კოლექტივმა სწორი დასკვნებიც გამოიტანა. ინტერნატის მუშაობაში ბოლო ხანს შეინიშნება სასიკეთო ტენდენციები. რას ვგულისხმობთ? — ახლებურად მიუდგნენ კონტინგენტის შერჩევის საქმეს (ეს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მომენტია სკოლის ცხოვრებაში, მომავალი წარმატება ხომ პირდაპირ კავშირშია „ნედლეულის" ხარისხთან), ჩამოყალიბდა სასელექციო განყოფილება. წამყვანი სპეციალისტები სისტემატურად ესწრებიან საყმაწვილო შეჯიბრებებს, ჩამოჰყავთ პერსპექტიული მოზარდები, რომლებიც ინტერნატში ერთგვარ საგამოცდო პერიოდს გადიან. ბავშვი ეჩვევა ინტერნატულ ცხოვრების წესს და, თუ ყველა საჭირო მოთხოვნა დააკმაყოფილა, ირიცხება სკოლაში. ინტერნატის ბაზაზე მუშაობას შეუდგა ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახალხო უნივერსიტეტი, სასწავლებლის ხშირი სტუმრები არიან მეცნიერები, მწერლები, სპორტის ცნობილი სპეციალისტები, ამოქმედდა მეთოდ-კაბინეტი, დამზადდა ინტერნატის ემბლემა, ვიმპელი, სამკერდე ნიშანი. მართალია, ცურვა ინტერნატში ოფიციალურად არ არის დანერგილი, მაგრამ აუზი რომ უქმად არ მოცდეს, დირექციამ კარგი გადაწყვეტილება მიიღო: ეს ბაზა უსასყიდლოდ ემსახურება გლდანის დასახლების 250-მდე ბავშვს.

ჩვენ არაფერი გვითქვამს ინტერნატის ძირითად საქმიანობაზე — სპორტული რეზერვის აღზრდაზე. განათლების სამინისტროსა და სპორტკომიტეტის მიერ დამტკიცებული დებულებით ზუსტად არის განსაზღვრული სკოლის მოვალეობანი. ასრულებს თუ არა სკოლა-ინტერნატი ამ დებულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს? ძირითადად ასრულებს, ყოველ შემთხვევაში, სტატისტიკა ამას ადასტურებს — ინტერნატის კურსდამთავრებულთა უმრავლესობის სპორტული ოსტატობის დონე შეესატყვისება დებულებას, მაგრამ ახლა მედლის მეორე მხარესაც შევხედოთ — სკოლა-ინტერნატის რამდენი აღსაზრდელი ვერ მოხვდა რესპუბლიკის ნაკრებ გუნდებში, რამდენი თითქოსდა პერსპექტიული სპორტსმენი გაქრა უკვალოდ ჩვენი თვალთახედვიდან? ძალიან ბევრი. ბავშვი სრულ კურსს რომ გაივლის, ცხადია, სკოლა-ინტერნატი პასუხისმგებელი ვერ იქნება მის შემდგომ დაოსტატებაზე, მაგრამ სკოლას იმისთვის კი უნდა „ჩამოაკლდეს ქულები", რომ თავის დროზე სწორად ვერ შეარჩია კონტინგენტი და მოზარდის შესაძლებლობები სკოლის კედლებშივე გამოწურა. ერთიც არის: როგორ უნდა გამოიცნო მომავალი ჩემპიონი? ჯერ კაცი არ დაბადებულა, არც ადამიანის გონებას შეუქმნია ისეთი ხელსაწყო, შეუცდომლად რომ განსაზღვრავდეს, ესა და ეს სპორტსმენი მსოფლიო ჩემპიონი გახდებაო. გენჩის სინჯი თუ ტეპინგ-ტესტი მხოლოდ დამხმარე იარაღია სპორტის სპეციალისტის ხელში, დანარჩენი, ფაქტიურად, ინტუიციით უნდა განისაზღვროს, ინტუიცია კი გარანტიას არ იძლევა. უკანასკნელი ოთხი წლის მანძილზე სკოლა-ინტერნატში 49 სპორტის ოსტატი მომზადდა (ძალიან კარგი მაჩვენებელია, მით უმეტეს, რომ დებულება საერთოდ არ ითვალისწინებს სპორტის ოსტატის მომზადებას), მაგრამ ამ სპორტსმენთა დიდი ნაწილი საბოლოო ანგარიშით ჩვენს სპორტს თითქმის ვერაფერში გამოადგა. რატომ? ზოგიერთის შესაძლებლობანი დიდი სპორტისთვის საკმარისი არ გამოდგა, ზოგიერთს კი ვერ ვუპატრონეთ. ამას რომ ვამბობ, სამწუხაროდ, ხელთ არა მაქვს ზუსტი მონაცემები. საერთოდ ეს საკითხები ნაკლებად არის შესწავლილი. არადა, საჭირო კია.

ომარ ფხაკაძე, მიხეილ სალაძე, ვლადიმერ აფციაური, შოთა ხინჩაგაშვილი, ავთანდილ მაისურაძე, მაია აზარაშვილი, გია თავაძე, გრიგორ ცაავა, კარლო მჭედლიძე, მალხაზ არზიანი, დავით პაიკიძე, გოჩა გოგრიჭიანი... ეს სპორტსმენები ინტერნატში დაფრთიანდნენ. ამ სიის გაგრძელება, რა თქმა უნდა, შეიძლება, სკოლა-ინტერნატის 117 აღსაზრდელი მონაწილეობდა მოსწავლეთა შარშანდელ საკავშირო სპარტაკიადაში, აქედან 51-მა გაიარა სკოლის სრული კურსი, მოკლე ხანში არაერთი წარმატებაა მოპოვებული საკავშირო საყმაწვილო შეჯიბრებებში, ბოლოდროინდელი შედეგები მართლაც სპორტული მუშაობის გაუმჯობესებაზე მეტყველებს, მაგრამ ამ შეჯიბრებებზე მოპოვებული ქულები და შედეგები არ უნდა დავუპირისპიროთ სკოლის გლობალურ ინტერესებს, იმ მთავარ ამოცანას, რასაც ინტერნატის კოლექტივია შეჭიდებული. ეს ამოცანაა ქართული სპორტის საიმედო თაობების აღზრდა, ამ ეროვნულ საქმეში კი სკოლას ყველამ უნდა მოვუმართოთ ხელი.

ელგუჯა გერიშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარმატებით დაიწყეს

ელენა ახმილოვსკაია და ნინო გურიელი — საზონათშორისო ტურნირში

ელენა ახმილოვსკაია

გუშინწინ ჩერნიგოვში, ქალთა მსოფლიო პირველობის საბჭოთა ზონალურ ტურნირში გაიმართა დასკვნითი, XIII ტურის შეხვედრები. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევდა საზონათშორისო ტურნირის საგზურების მაძიებელთა პარტიები. ნინო გურიელს მხოლოდ გამარჯვება მოუტანდა ამ საგზურს, ელენა ახმილოვსკაიას კი ყაიმიც ჰყოფნიდა.

გურიელმა მარტა ლიტინსკაიასთან მძლავრად წარმართა ბრძოლა და საწადელს მიაღწია. ახმილოვსკაია დაუზავდა ლიუდმილა ზაიცევას (მოსკოვი), სსრ კავშირის ჩემპიონი სვეტლანა მატვეევა — ქეთევან არახამიას.

ამრიგად, I ადგილზე გავიდა მარტა ლიტინსკაია (ლვოვი) — 8 ქულა, II-IV ადგილები გაიყვეს (კოეფიციენტთა ცხრილის მიხედვით) სვეტლანა მატვეევამ (ფრუნზე), ელენა ახმილოვსკაიამ და ნინო გურიელმა — 7,5-7,5. ოთხივე მოჭადრაკემ მოიპოვა საზონათშორისო ტურნირში თამაშის უფლება.

16 წლის ქეთევან არახამიამ 4,5 ქულა მოაგროვა.

ახალი ორწლიანი (1985-1986 წწ.) ციკლის მიხედვით ორი საზონათშორისო ტურნირი ჩატარდება, თითოეულში 16 მოჭადრაკე ითამაშებს. ამ შეჯიბრებაში პერსონალურად მიწვეული არიან ნონა გაფრინდაშვილი, ნანა ალექსანდრია და ნანა იოსელიანი. დანარჩენ მონაწილეებს ევროპის, ამერიკის, აზიის ზონალური ტურნირები დაასახელებს. საზონათშორისო ტურნირები მაისს-ივნისში მოეწყობა, მაგრამ ჯერჯერობით ამ შეჯიბრებათა ადგილი უცნობია.

1986 წლის დამდეგს შედგება პრეტენდენტთა ორწლიანი ტურნირი, რომელშიც გამოვლენ ირინა ლევიტინა, ლიდია სემიონოვა და სამი გამარჯვებული თითოეული საზონათშორისო შეჯიბრებიდან. პრეტენდენტთა პაექრობაში პირველ ადგილზე გასული დიდოსტატი 1986 წლის შემოდგომაზე შეხვდება მსოფლიო ჩემპიონს მაია ჩიბურდანიძეს.

სასიხარულოა, რომ საქართველოს მოჭადრაკეებმა წარმატებით დაიწყეს ბრძოლა მსოფლიო ჩემპიონთან შეხვედრის უფლებისთვის.

ნინო გურიელი

ლიდერებში სიცხადეა

როგორც ვიუწყებოდით, სსრ კავშირის მოჭადრაკე ვაჟთა 52-ე ჩემპიონატს 9 ტურის შემდეგ ოთხი ლიდერი ჰყავდა. გუშინწინ გადადებული პარტიების დასამთავრებლად გამართულმა შეხვედრებმა ლიდერთა მდგომარეობაში სიცხადე შეიტანა.

9 ტურის შემდეგ ერთპიროვნული ლიდერი გახდა ვიაჩესლავ ეინგორნი (ოდესა) — 6 ქულა. ვიქტორ გავრიკოვმა (ვილნიუსი), ანდრეი სოკოლოვმა (მოსკოვი) 5,5-5,5 ქულა დააგროვეს, ვლადიმერ ტუკმაკოვმა (ოდესა), იური ბალაშოვმა (მოსკოვი), სმბატ ლპუტიანმა (ერევანი) და ალექსანდრე ჩერნინმა (ხარკოვი) — 5-5.

გადადებული პარტიების დამთავრებისას ეინგორნმა მოუგო გელერს, სოკოლოვმა — ჩერნინსა და აგზამოვს, გავრიკოვმა — გულკოს. პეტროსიანი დამარცხდა ჩერნინთან და გაიმარჯვა გურევიჩთან. ფსახისმა მოუგო ლერნერს. დაზავდნენ: აგზამოვი — ჩერნინი და სვეშნიკოვი — მიხალჩიშინი.

ოთხი პარტია, მათ შორის კუპრეიჩიკ — გურგენიძის შეხვედრა, კვლავ დაუმთავრებელი დარჩა.

საერთაშორისო ფეხბურთი: შედეგები, ცხრილები

გფრ

2 თებერვალს, ზამთრის შესვენების შემდეგ, განახლდა ეროვნული პირველობა. ბუნდესლიგის კლუბებმა II წრის I ტურის მატჩები ჩაატარეს. გათამაშების ლიდერმა, მიუნჰენის „ბაიერნმა“ ბილეფელდის „არმინიას“ უმასპინძლა. მიუნჰენელებმა ძალიან სუსტად ითამაშეს და მხოლოდ ბოლო წუთებზე შეძლეს ქულის ხსნა: თამაში დამთავრდა ფრედ — 3:3. მასპინძელთაგან გოლები გაიტანეს აუგენტალერმა, დანიელმა ლერბიმ და ჰიონესმა, ხოლო სტუმართაგან — დრონიამ, ბორჰერსმა და ფინელმა რაუტიაინენმა. ბრწყინვალედ ითამაშა ქვეყნის ჩემპიონმა „შტუტგარტმა“, რომელსაც „კაიზერსლაუტერნის“ სახით მიუნჰენელებზე გაცილებით სერიოზული მეტოქე ჰყავდა. ანგარიში გახსნა სტუმართა გუნდის მცველმა ვოლფმა, რომელმაც საკუთარ კარში გაიტანა ბურთი. ერთ-ერთი კომენტატორის თქმით, „შტუტგარტი“ მაშინ აღწევდა მიზანს, როცა მოისურვებდა. ალგიოვერმა, ბელგიელმა კლასენმა და ოლიჰერმა (2) ოთხჯერ „მოისურვეს“ კარის აღება და საბოლოო ანგარიშიც დაადგინეს — 5:0. დიდებულად ითამაშა გელზენკირჰენის „შალკე 04“-მაც, რომელმაც აშკარა უპირატესობით (4:1) დაამარცხა ლიდერთა ჯგუფის წევრი, მიონჰენგლადბახის „ბორუსია“. „კიოლნმა“ შინ სძლია ბრაუნშვაიგის „აინტრახტს“ (1:0) და მეორე ადგილზე გადაინაცვლა. ბრემენის „ვერდერმა“ კი მეტად პრინციპული მატჩი წააგო იურდინგენში ადგილობრივ „ბაიერთან“ (1:3) და ახლა მასთან III-IV ადგილებს იყოფს. დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: „ჰამბურგერ შპორტფერაინი“ — „ბორუსია“ (დორტმუნდი) 4:2, „ვალდჰოფი“ (მანჰაიმი) — „კარლსრუე“ 3:0, „ფორტუნა“ (დიუსელდორფი) — „ბაიერი“ (ლევერკუზენი) 3:2, „აინტრახტი“ (მაინის ფრანკფურტი) — „ბოხუმი“ 1:1.

ბომბარდირთა სიას 15 გოლით სათავეში უდგას კიოლნელი კლაუს ალოფსი. მას 2 ბურთით ჩამორჩება რუდი ფიოლერი („ვერდერი“).

	თ.	ბ.	ქ.
„ბაიერნი“	18	42:24	26
„კიოლნი“	18	43:33	24
„ვერდერი“	18	52:31	23
„ბაიერი“ (იურდ.)	18	37:22	23

ინგლისი

თოვლიანი ზამთარი დიდ პრობლემებს უქმნიდა ბრიტანეთის საფეხბურთო ცხოვრებას. შაბათს გამართული ტური ბოლო თვის მანძილზე ერთადერთი გამოდგა ეროვნულ ჩემპიონატში, რომლის ნორმალური ჩატარებისათვისაც ამინდს ხელი არ შეუშლია. ლიდერობა განიმტკიცა ლივერპულის „ევერტონმა“ — მისმა ფეხბურთელებმა გერი სტივენსმა (2), კევინ შიდიმ და ტრევორ სტივენმა ოთხი „მშრალი“ ბურთი გაიტანეს „უოტფორდის“ კარში. ლონდონის „ტოტენჰემ ჰოტსპური“ სტუმრად ორჯერ აგებდა აუტსაიდერ „ლუტონ თაუნთან“ (0:1 და 1:2), მაგრამ 90-ე წუთზე გრემ რობერტსის გოლის წყალობით შეძლო ქულის გადარჩენა. „მანჩესტერ იუნაიტედმა“ შინ მოუგო „ვესტ ბრომვიჩ ალბიონს“ — 2:0 (ორივე ბურთი შოტლანდიელმა გორდონ სტრაქანმა გაიტანა), „ნოტინგემ ფორესტმა“ კი სტუმრად სძლია „ნორიჩ სიტის“ — 1:0 (პიტერ დავენპორტი, 87-ე წთ.). „საუთჰემპტონმა“ ლონდონში დაამარცხა ადგილობრივი „ქუინზ პარკ რეინჯერსი“ — 4:0. ლონდონის „არსენალი“ „ჰაიბერის“ სტადიონზე მასპინძლობდა „კოვენტრი სიტის“. გულშემატკივართა და სპეციალისტთა გაოცება გამოიწვია არსენალელთა მწვრთნელის დონ ჰაუს გადაწყვეტილებამ — მან სათადარიგოთა სკამზე მიუჩინეს ადგილი გუნდის ლიდერებს, ინგლისის ნაკრების წევრს ტონი ვუდკოკსა და შოტლანდიის ეროვნული გუნდის მოთამაშეს ჩარლი ნიკლასს. ჩვენმა მკითხველმა იცის, რომ ერთი კვირით ადრე „არსენალმა“ თასის გათამაშების მატჩი წააგო III ლიგის წარმომადგენელ „იორკ სიტისთან“, რაშიც მწვრთნელმა ეს წყვილი დაადანაშაულა. ჰაუს გაუმართლა — „კოვენტრი სიტისთან“ შეხვედრაში სწორედ იმ ფეხბურთელებმა გაიტანეს გოლები, რომლებიც „დამნაშავეების“ მაგივრად გამოვიდნენ მინდორზე. იენ ალინსონისა და რაფაელ მითის ორ ბურთს „კოვენტრიმ“ ერთით უპასუხა. „ლივერპული“ 85-ე წუთამდე აგებდა მატჩს სტუმრად „შეფილდ უენსდეისთან“, მაგრამ საფინალო სასტვენამდე 5 წუთით ადრე მარკ ლორენსონმა წონასწორობა აღადგინა — 1:1. დანარჩენი მატჩები ასე დამთავრდა: „ასტონ ვილა“ (ბირმინგემი) — „იფსვიჩ თაუნი“ 2:1, „ლესტერ სიტი“ — „ჩელსი“ (ლონდონი) 1:1, „სანდერლენდი“—„სტოკსიტი“ 1:0, „ვესტ ჰემ იუნაიტედი“ (ლონდონი) — „ნიუკასლ იუნაიტედი“ 1:1.

„ევერტონი“	25	57:29	52
„ტოტენჰემი“	25	51:27	48
„მანჩესტერ იუნ.“	25	48:30	44

შოტლანდია

შაბათს გამართული ოთხივე მატჩი ერთნაირი ანგარიშით დამთავრდა. 2:0 — ასე მოუგო „აბერდინმა“ „დამბარტონს“ (სტუმრად) გლაზგოს „სელტიკმა“ — „სენტ-მირენს“ (სტუმრად), „გლაზგო რეინჯერსმა“ — „მორტონს“ (შინ), „დანდი იუნაიტედმა“ — ედინბურგის „ჰიბერნიენს“ (შინ). ამ შეხვედრათა შედეგებს სატურნირო ცხრილში დიდი ცვლილებები არ გამოუწვევია.

„აბერდინი“	25	59:17	41
„სელტიკი“	22	50:20	33
„გლაზგო რეინ.“	25	33:23	30

ესპანეთი

ჩემპიონატის მორიგ ტურში კიდევ ერთი გამარჯვება მოიპოვა „ბარსელონამ“. მან პამპლონაში სძლია ადგილობრივ „ოსასუნას“ — 2:1. გამარჯვებულთაგან გოლები გაიტანეს ხერარდომ და ესტებანმა, დამარცხებულთაგან — ორეხუელამ. მადრიდის „ატლეტიკომ“ კაბრერას ერთადერთი ბურთის წყალობით ორი ქულა აიღო სტუმრად მურსიის „რეალთან“ — 1:0. ამავე ანგარიშით სევილიის „ბეტისმა“ მოუგო ალიკანტეს „ერკულესს“. მადრიდის „რეალისა“ და ბილბაოს „ატლეტიკის“ მატჩი დამთავრდა ფრედ — 2:2, თუმცა მასპინძლები ორჯერ იგებდნენ. საინტერესო „სცენარით“ წარიმართა მატჩი სან-სებასტიანში, სადაც „რეალ-სოსიედადმა“ „ვალენსიას“ უმასპინძლა. ანგარიში მე-5 წუთზე გახსნა ვალენსიელმა რობერტომ, რასაც ბასკმა ფეხბურთელმა ვაკერომ ოთხი გოლით უპასუხა — 4:1. ამავე ანგარიშით სარაგოსის „რეალმა“ მოუგო „სევილიას“. გთავაზობთ დანარჩენი ორი მატჩის შედეგებს: „მალაგა“ — „რასინგი“ (სანტანდერი) 2:0, „ესპანიოლი“ (ბარსელონა) — „სპორტინგი“ (ხიხონი) 2:2.

„ბარსელონა“	23	49:17	38
„ატლეტიკო“ (მად.)	22	32:17	29
„რეალი“ (მად.)	23	27:21	27

იტალია

გათამაშების XVII ტურში ვერონის „ჰელასმა“, რომელმაც შინ ანგარიშით 2:0 მოუგო „ასკოლის“, კვლავ დაიბრუნა ლიდერობა. მისმა მთავარმა კონკურენტმა, მილანის „ინტერნაციონალემ“ ქულა დაკარგა აველინოში, ამავე სახელწოდების ადგილობრივ გუნდთან — 0:0. „ტორინომ“ საკუთარ მოედანზე სძლია „კრემონეზეს“ — 1:0, ხოლო „უდინეზემ“ რომში მოუგო იქაურ „ლაციოს“ — 4:1. დანარჩენი მატჩები მშვიდობიანად დამთავრდა: „ატალანტა“ (ბერგამო) — „იუვენტუსი“ (ტურინი) 1:1, „კომო“ — „რომა“ 0:0, „მილანი“ — „ფიორენტინა“ (ფლორენცია) 1:1, „სამპდორია“ (გენუა) — „ნაპოლი“ 0:0.

„ჰელასი“	17	20:7	25
„ინტერი“	17	21:10	24
„ტორინო“	17	26:15	23

ინფორმაცია

ტურინი. „პალაცო დელო სპორტში“ გაიმართა სსრ კავშირის, ესპანეთისა და იტალიის მძლეოსანთა ნაკრები გუნდების სამატჩო შეხვედრა. საბჭოთა სპორტსმენებმა დაამარცხეს იტალიელებიც (ვაჟები — 68:61, ქალები — 70:29) და ესპანელებიც (ვაჟები — 66:63, ქალები — 70:29). აღსანიშნავია, რომ სსრ კავშირის ქალთა ნაკრებმა გაიმარჯვა პროგრამის ყველა სახეობაში. საყურადღებოა მინსკელი ელენა მედვედიევას მაჩვენებელი 800 მ-ზე რბენაში — 2.00,43 და კონკურსგარეშე მოასპარეზე კუბელი ლასარო ბეტანკურის შედეგი სამხტომში — 17 მ. 30 სმ.

მოსკოვი. მძლეოსანთა შეჯიბრება, რომელიც ცსკა-ს სპორტკომპლექსში ჩატარდა, სეზონის დასაწყისისთვის რამდენიმე მაღალი შედეგით აღინიშნა. ჰოკით ხტომაში პირველი იყო ნიკოლოზ სელივანოვი — 5 მ. 65 სმ, ქალთა სპრინტში 60 მ-ზე ყველას აჯობა სვეტლანა ჟიზდრიკოვამ (7,0), ხოლო 110 მეტრზე თარჯრბენში — ალექსანდრე მირკინმა (13,8).

ოსლო. გაიმართა მსოფლიო ჩემპიონატის მორიგი მატჩები ბურთიან ჰოკეიში. სსრ კავშირისა და შვეციის გუნდების ორთაბრძოლა ფრედ — 1:1 დამთავრდა. ფრე (4:4) აღინიშნა ფინეთისა და ნორვეგიის გუნდების შეხვედრაშიც.

კოპენჰაგენი. სსრ კავშირის ხელბურთელ ვაჟთა ნაკრებმა გუნდმა ანგარიშით 20:15 (9:6) დაამარცხა დანიის ნაკრები. მსოფლიო ჩემპიონატისათვის მზადების პერიოდში ჩვენი ხელბურთელები კიდევ ორ ამხანაგურ მატჩს გამართავენ შვეციაში ადგილობრივ გუნდებთან.

გუნდური მეორე

ლატვიის ქალაქ ლიდაში გაიმართა სპორტსაზოგადოება „ტრუდის“ ცენტრალური საბჭოს პირველობა კლასიკურ ჭიდაობაში ჭაბუკებს შორის. ამ შეჯიბრებაზე წარმატებით იასპარეზეს განთიადელმა სპორტსმენებმა: პირველი ადგილები დაიკავეს გიორგი მაკალათიამ (81 კგ) და გურამ შონიამ (97), მეორე — გიგა ჯულუხიძემ (45) და ზაზა ხუციშვილმა (65), მესამე ადგილი — ტაგიევმა (7 და გიორგი ყორომშვილმა (75). საერთო ჩათვლაში „განთიადის“ ნაკრებმა რსფსრ-ს გუნდის შემდეგ II ადგილი დაიკავა.

* * *

„სპორტლოტო“

სპორტული ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა შედეგები 27 იანვარს გამართული „სპორტლოტოს“ მორიგი, მეოთხე ტირაჟების შედეგებისა.

„სპორტლოტო 6 49“-დან: გაიყიდა 654208 ბარათი.

ექვსი ციფრი ვერავინ გამოიცნო. ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (35 ბარათი) მოგება 1142 მანეთია, ოთხისთვის (2053 ბარათი) —28, სამისთვის (32936 ბარათი) —3.

„სპორტლოტო 5 36“-დან: გაიყიდა 5098850 ბარათი.

ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (16 ბარათი) მოგება 10000 მანეთია, ოთხისთვის (3423 ბარათი)— 156, სამისთვის (104226 ბარათი) — 8.

ეკრანზე და ეთერში

ცენტრალური ტელევიზია. 6 თებერვალი. სტადიონი ყველასათვის — **16.30** (1); ევროპის ჩემპიონატი ფიგურულ ციგურაობაში — **20.45** (1).

საქართველოს ტელევიზია. 6 თებერვალი. სპორტული გადაცემა. სსრ კავშირის ჩემპიონატი კალათბურთსა და წყალბურთში — **22.50**.

საქართველოს რადიო. 6 თებერვალი. სსრ კავშირის პირველობა კალათბურთში. „დინამო“ (თბილისი) — „სპარტაკი“ (ლენინგრადი) — **21.30**.

რედაქტორი ა. გოგელია.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096
თბილისი, ლენინის ქ. № 14
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“

რედაქციის ტელეფონები:
ხამდივნო — 93-97-52
წერილების განყოფილება — 93-97-55
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-58
„მართვე“ — 93-97-27, „მერანი“ — 93-97-26

ჩვენი
ინდექსია
66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კომბინატში ხოშტარიას, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22. უ. 4003